

სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება -

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, "გამსესხებელი ან/და მოგირაგნი"

დასახელება:

შპს მისო "კრედიტორი", ს/კ 404910637

ოურიდული მისამართი:

ქ. თბილისის, მიცკევიჩის ქ. № 6

წარმომადგენელი

დირექტორი

სახელი და გვარი

მეორეს მხრივ "მსესხებელი ან/და დამგირავებელი" -

სახელი და გვარი:

მისამართი:

პირადი # :

პირადობის მონუმბა :

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 კრედიტის პირობები:

1.1.1 კრედიტის ტიპი:

სამომხმარებლო

1.1.2 სესხის თანხა:

ლარი

1.1.3 სესხის მთლიანი თანხიდან მისაღები თანხის ოდენობა:

ლარი

1.1.4 მსესხებლის მიერ მთლიანი გადასახდელი თანხის ოდენობა:

ლარი

1.1.5 სესხის ვადა:

თვე

1.1.6 საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

თვე

1.1.7 სესხის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:

1.1.8 წლიური საპროცენტო განაკვეთი

%

1.1.9 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:

%

1.1.10 პირგასამტეხლო ვადაგადაცილებულ დღეზე

დარჩენილი ძირითადი თანხის 0.25 % ყოველდღიურად

1.1.11 სესხის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი (სესხის გაცემის საკომისიო);

3%

1.1.12 ადმინისტრაციულ ორგანოში გადასახდელი გირავნობის რეგისტრაციის/რეგისტრაციის მოხსნის საფასური:

101 ლარი

1.1.13 სესხის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის საკომისიო:

ა) სესხის ხელშეკრულების დასრულებამდე 6-დან 12 თვემდე ვადის არსებობის შემთხვევაში - სესხის ძირითადი თანხის დასაფარად მიმართული თანხის 0,5%

ბ) სესხის ხელშეკრულების დასრულებამდე 12-დან 24 თვემდე ვადის არსებობის შემთხვევაში - სესხის ძირითადი თანხის დასაფარად მიმართული თანხის 1%

გ) სესხის ხელშეკრულების დასრულებამდე 24 თვეზე მეტი ვადის არსებობის შემთხვევაში - სესხის ძირითადი თანხის დასაფარად მიმართული თანხის 2%

1.2 ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას გათვალისწინებული ფინანსური ხარჯები:

1.2.1 სესხზე არსებული საპროცენტო განაკვეთი;

1.2.2 სესხის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი (სესხის გაცემის საკომისიო);

1.2.3 გირავნობის სარეგისტრაციო/რეგისტრაციის გაუქმებისათვის ადმინისტრაციულ ორგანოში გადასახდელი;

1.3 ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას არსებული დამხვებები:

1.3.1 დაიშვება, რომ კრედიტის მთლიან თანხას მსესხებელი იღებს ერთჯერადად და სრულად

1.3.2 პროცენტის დარიცხვა წარმოებს სესხის გაცემის მომდევნო დღიდან ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ყოველდღიური დარიცხვის პრინციპით წელიწადში 365 დღეზე, ხოლო ნაკიან წელიწადში 366 დღეზე გაანგარიშებით.

1.3.3 ადმინისტრაციულ ორგანოში გირავნობის რეგისტრაციის / რეგისტრაციის გაუქმების გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება სტანდარტული ოდენობით, დაჩქარებული წარმოების დამატებითი საფასურის გარეშე.

1.4 სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის გადახდა ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მოცემული სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.5 სესხის დაფარვის შემთხვევაში პირველ რიგში იფარება სასამართლო ან/და სხვა სესხზე განეული ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდგომ პირგასამტეხლო, დარიცხული პროცენტი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა.

1.6 იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს აქვს რამოდენიმე შესასრულებელი საკრედიტო ვალდებულება გამსესხებლის მიმართ და გადახდისას არ დააფიქსირებს პრიორიტეტულად რომელიმე ვალდებულების ნებას. გამსესხებელს ენიჭება უფლებამოსილება ცალმხრივად განსაზღვროს მსესხებლის ვალდებულებების შესრულების რიგითობა, ასევე ის, თუ რა ოდენობით და რომელ კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულება დაიფაროს პრიორიტეტულად მსესხებლის მიერ ნაღდი/უნაღლო ანგარიშსწორებით გადახდილი თანხიდან. პრიორიტეტულად ვალდებულების დაფარვის ნება გამოხატული უნდა იქნეს გამსესხებლის ნებისმიერ ფილიალში წერილობითი განცხადებით თანხის ნაღდი/უნაღლო ანგარიშსწორების დღეს.

1.7 იმ შემთხვევაში, თუ ამავე ხელშეკრულების 1.1.6 პუნქტში მითითებული პირობა, შესატანი თანხის ოდენობიდან გამომდინარე, ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილ პირგასამტეხლოს დასაშვებ ოდენობას, მაშინ უპირატესობა ენიჭება კოდექსის აღნიშნულ ნორმას და ვადაგადაცილებულ სესხზე დასარიცხი პირგასამტეხლოს დღიური ოდენობა განისაზღვრება სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის არა უმეტეს 0.27%-ის ოდენობით.

1.8 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1.13 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო არ დაირიცხება, თუ: ა) ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები დრო; ბ) კრედიტის რეფინანსირება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება კომპანიის მიერ გაცემული კრედიტით; გ) კრედიტის წინსწრებით დაფარვა ხდება ფინანსური ორგანიზაციის მოთხოვნით; დ) კრედიტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება ფინანსური ორგანიზაციის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებებში შესატან ცვლილებებზე კლიენტის მხრიდან დაუთანხმებლობის მიზეზით.

1.9 მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებები უზრუნველყოფილია მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის დაგირავებით გამსესხებლის სასარგებლოდ.

1.10 ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების არსებობისას (ასეთის არსებობა/არ არსებობა მითითებულია ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებში) ერთ-ერთი მსესხებლის ნების გამოვლენა და განცხადების წარდგენა საკმარისია ამ უფლებით სარგებლობისთვის.

1.11 სესხის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების პირობები/პრაქტიკული ინსტრუქციები:

1.11.1 მსესხებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე შემდეგი პირობების/ვადის დაცვით:

ა) ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება მოქმედებს 14 კალენდარული დღის განმავლობაში, რომლის ათვლა იწყება წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან.

ბ) მსესხებელმა ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ გამსესხებელს უნდა აცნობოს მის ნებისმიერ ფილიალში წერილობითი განცხადების წარდგენის გზით. გამსესხებლის ფილიალებთან დაკავშირებით ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე www.creditor.ge.

გ) ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების წარდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა მსესხებელმა გამსესხებელს უნდა გადაუხადოს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხა და ამ თანხაზე სესხით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში სესხის ხელშეკრულებით შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასური ან/და სანოტარო ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებში.

1.11.2. იმ შემთხვევაში, თუ: 1) ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე მსესხებლის განცხადება ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ წარედგინა გამსესხებელს, ან 2) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მსესხებელმა არ განახორციელა გამსესხებლისათვის თანხის სრულად დაბრუნება, ითვლება, რომ მსესხებელს უარის თქმის უფლება არ განუხორციელებია, შესაბამისად, ხელშეკრულება შეწყვეტილად არ ჩაითვლება და გაგრძელდება წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობა.

1.11.3 ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით 1.11.1 პუნქტით დადგენილი პირობებით სარგებლობის შემთხვევაში, გამსესხებელი დაუბრუნებს მსესხებელს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილ ყველა იმ ხარჯს/საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რისი გადახდის ვალდებულებაც უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში არ ეკისრება მსესხებელს. გამსესხებელი უფლებამოსილია შესაბამისი თანხის, კერძოდ, მის მიერ გადასახდელი და მსესხებლის მიერ დასაბრუნებელი თანხის, ფარგლებში მოახდინოს ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვა.

1.11.4 მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება 1.11.1 პუნქტში მითითებული მოთხოვნების სრულად შესრულების შემდეგ.

1.12 ამ ხელშეკრულებით მოგირავენს ენიჭება უპირატესი უფლება სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა საქართველოს კანონმდებლობის და ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

1.13 გამსესხებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეებისათვის (თავდები, იპოთეკა/გირავნობის საგნის მესაკუთრე), ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებელთან გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი და ამავე ხელშეკრულების ასლები იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია მსესხებელთან. აღნიშნულის თაობაზე მსესხებელი ადასტურებს, რომ წინასწარ იქნა ინფორმირებული გამსესხებლის მხრიდან

2. ავტომანქანის გირავნობით უზრუნველსაყოფი ვალდებულებები:

2.1 მსესხებელი/დამგირავებელი ავტომანქანის დაგირავებით უზრუნველყოფს გამსესხებელსა/მოგირავნესა და მსესხებელს/დამგირავებელს შორის გაფორმებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებს, რომელთა პირობები მოცემულია ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტში, გირავნობის საგნით უზრუნველყოფილია ასევე სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არასათანადოდ (არაჯეროვნად, დაგვიანებით) შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, იურიდიული მომსახურებისა და გირავნობის საგნის შენახვისა და რეალიზაციისთვის მოგირავნის მიერ განეული დანახარჯების ანაზღაურება;

2.2 მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფილი მოთხოვნა შეადგენს არანაკლებ XXXლარს.

2.4. სესხის მოქმედების პერიოდში ან მისი ვადის გასვლის შემდეგ გადახდის დღისათვის დარიცხული სარგებლის სრულად გადახდის შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოხდეს წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გაგრძელება აღნიშნულ ხელშეკრულებაში ცვლილება-დამატებების წერილობითი ფორმით შეტანის გზით.

3. სესხის უზრუნველყოფა

3.1 გირავნობის საგანს წარმოადგენს:სატრანსპორტო საშუალება, შემდეგი მახასიათებლებით:

- 3.1.1 ავტომობილის მარკა და მოდელი
- 3.1.2.გამოშვების წელი
- 3.1.3 ფერი
- 3.1.4 ტიპი
- 3.1.5 ძრავის მოცულობა
- 3.1.6 VIN ნომერი / Chassis ნომერი
- 3.1.7 ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონძობა
- 3.1.8 სახელმწიფო ნომერი
- 3.1.9 მესაკუთრის სახელი და გვარი
- 3.1.10 გირავნობის საგნის შეფასებითი ღირებულება ლარი

3.2. მსესხებლის/დამგირავებლის მიერ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში, გამსესხებელი/მოგირავნე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მსესხებლისათვის/დამგირავებლისათვის გაგზავნილი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე და დაიკმაყოფილოს თავისი კანონიერი ინტერესები წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში აღნიშნული ავტომანქანის რეალიზაციის ან საკუთრებაში მიღების (სამოქალაქო კოდექსის 260 პრიმა, 280 პრიმა მუხლი და 283 მუხლი) ხარჯზე, იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არ დაფარავს დავალიანებას აღნიშნული შეტყობინების გაგზავნიდან ორი კვირის ვადაში.

4. დამგირავებლის ვალდებულებები:

4.1 სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკავშირებულია ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.

თუ ქონების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები საკმარისი არ იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად დასაფარად, რაც გამოწვეულია გირავნობის საგნის განზრახ დაზიანებით, განადგურებით ან/და სხვაგვარი მოქმედებებით (მაგ. გირავნობის საგნის დაძლით, ნაწილების/აგრეგატების ამოღებით და აშ), ასევე თუ გირავნობის საგანი სრულად განადგურდა ან მოხდა მისი გადამალვა, მაშინ მსესხებელს/დამგირავებელს დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა ნებისმიერ ასეთ ნაშთზე მთელი თავისი ქონებით, რაც გულისხმობს იმას, რომ რეალიზაცია მიეცევა მსესხებლის /დამგირავებლის სხვა ნებისმიერ ქონებაზე და გაგრძელდება კრედიტორის წინაშე არსებული ვალდებულების სრულად დაფარვამდე. (მათ შორის იმ ხარჯების, რომელიც განეული იქნება ხსენებული ვალდებულების დაფარვის მიზნობრიობით)

უზრუნველყოფის საგანი განზრახ განადგურებულად გადამალულად ჩაითვლება მათ შორის შემდეგ შემთხვევებში: ა) განადგურებულად ჩაითვლება თუ უზრუნველყოფის ხელშეკრულებით განსაზღვრული უზრუნველყოფის საგნის შეფასებითი ღირებულება შემცირდება 30%-ით და მეტი, რაც დგინდება გირავნობის საგნის გამსესხებლის/მოგირავნის მიერ კლიენტისათვის ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრისათვის შეტყობინებიდან 2(ორი) კვირის ვადაში გამსესხებელს /მოგირავნეს არ წარედგინება უზრუნველყოფის საგანი, ან თუ უზრუნველყოფის საგანი ვერ იქნა მოძიებული აღმასრულებლის მიერ ძე ბნა-დაკავების სტატუსის მიჩიებიდან 2 თვის განმავლობაში.

5. განცხადებები და გარანტიები:

5. მსესხებელი/დამგირავებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ: იგი არის გირავნობის საგნის კანონიერი და ჭეშმარიტი მესაკუთრე და რომ გირავნობის საგანზე ვრცელდება გირავნობა, რაც ასევე დასტურდება.

6. ხელშეკრულების დარღვევა (შენწყვეტა):

6.1. ხელშეკრულების დარღვევა (შენწყვეტა) ხდება:

6.1.1 თუ მსესხებელი/დამგირავებელი სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ გადაიხდის სესხის ძირითადი თანხის ნებისმიერ ნაწილს ან მასზე დარიცხულ პროცენტებს.

6.1.2. ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელსაც მსესხებელი/დამგირავებელი ადასტურებს, ან რაც მოცემულია ამ ხელშეკრულებასთან კავშირში, აღმოჩნდება არასწორი.

6.1.3. დამგირავებლის მოქმედება მიმართულია გამსესხებლის/მოგირავნის მოტყუებისაკენ.

7. მოგირავნის ინტერესების დაკმაყოფილება:

7.1. ამ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი რომელიმე ვალდებულების დროულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში გამსესხებელი/მოგირავნი უფლებამოსილია მიიღოს დაკმაყოფილება გირავნობის საგნიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. მხარეები თანხმდებიან, რომ გირავნობით უზრუნველყოფილი რომელიმე ვალდებულების დროულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში გამსესხებელს/მოგირავნს უფლება ექნება საკუთარი არჩევანით გამოიყენოს ქვემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათაგან ნებისმიერი:

7.2.1. გირავნობის საგნის რეალიზაცია განხორციელოს აუქციონის მეშვეობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

7.2.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260¹ მუხლის შესაბამისად პირდაპირ მიიღოს საკუთრებაში გირავნობის საგანი. იმ შემთხვევაში, თუ გამსესხებლის/მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის გირავნობის საგნის ღირებულება იქნება უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე ნაკლები, უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ გირავნობის საგნის ღირებულების ტოლი ოდენობით.

7.2.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის შესაბამისად უშუალოდ მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია.

7.2.4. გირავნობის საგნის გაყიდვა მიანდოს სპეციალურ სავაჭრო დაწესებულებას.

7.3. მსესხებელი/დამგირავებელი ვალდებულია გამსესხებლის/მოგირავნის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა უზრუნველყოს ხელმოწერა და გამსესხებლისთვის/მოგირავნისთვის დაუყოვნებლივ გადაცემა ნებისმიერი საბუთისა (განცხადების, შეთანხმების და სხვა), რომელიც საჭირო იქნება გამსესხებლის/მოგირავნის მიერ ამ ხელშეკრულების 7.2 პუნქტში ჩამოთვლილი უფლებ(ებ)ის სრულფასოვანი განხორციელებისთვის.

7.4. მხარეები ასევე თანხმდებიან გირავნობის საგნის რეალიზაციის სხვა წესზე, სამოქალაქო კოდექსის 284-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. კერძოდ, მხარეები თანხმდებიან, რომ გირავნობის საგნის რეალიზაციას მოახდენს დამოუკიდებელი სპეციალისტი. სპეციალისტის შერჩევა და დანიშვნა ევალება გამსესხებელს; სპეციალისტის საზღაურის ოდენობა განისაზღვრება 4-ის % ოდენობამდე მოთხოვნის თანხიდან.

სპეციალისტის მიერ გირავნობის საგნის რეალიზაცია უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს გონივრულ და სამართლიან ფასში დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეების ინტერესების გათვალისწინებით.

8. პრეტენზიების წარდგენა და განხილვა:

8.1 მსესხებელი უფლებამოსილია საკრედიტო პროდუქტის ან/და გამსესხებლის მისამართით დააფიქსიროს ნებისმიერი ტიპის უკმაყოფილება და დაუთანხმებლობა, რის თაობაზეც მსესხებლის მიერ მისოსათვის წარდგენილი ნებისმიერი ზეპირი ან წერილობითი განცხადება მიიჩნევა პრეტენზიად.

8.2 მსესხებლის მხრიდან პრეტენზიის დაფიქსირებისთანავე გამსესხებელი ვალდებულია შესთავაზოს მას პრეტენზიის დაფიქსირების სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმა და ამ ფორმით წარდგენისთანავე დაუდასტუროს მას პრეტენზიის მიღება წარდგენილი ფორმის იდენტური სახით. მსესხებელს პრეტენზიის ელექტრონული ფორმით დაფიქსირების შესაძლებლობა აქვს გამსესხებელს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@creditor.ge ;

8.3 მისო ვალდებულია მსესხებლის მხრიდან წარდგენილი პრეტენზია განიხილოს არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული თვისა და პრეტენზიის განხილვის შედეგები, პრეტენზიის გადაწყვეტის პირობების მითითებით, დაუყოვნებლივ აცნობოს მსესხებელს. განხილვის შედეგები მსესხებელს ეცნობება პრეტენზიის დაფიქსირების იდენტური ფორმით.

8.4 მსესხებლის მხრიდან პრეტენზიის მიღებისა და განხილვის ვალდებულებები გამსესხებელზე არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ: 1. იმავე მსესხებლის იგივე შინაარსის პრეტენზია ერთხელ უკვე განხილულია და აღვლილი არ აქვს დამატებით მნიშვნელოვან ფაქტებსა და გარემოებებს მათი მოყვანილ საკითხთან დაკავშირებით; 2. მსესხებლის პრეტენზია ეხება მისოსგან საკრედიტო პროდუქტის მიწოდებაზე უარის თქმას; 3. პრეტენზიის მიზანს წარმოადგენს შეფერხებები ან უარი მომსახურების განწევაზე, რომელიც განპირობებულია საკანონმდებლო შეზღუდვებით;

8.5 მისოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, სადაც მსესხებლის მხრიდან შესაძლებელია პრეტენზიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენა, არის მისოს უშუალო ხელმძღვანელი პირი - დირექტორი.

8.6 წინამდებარე ხელშეკრულების 8.5 პუნქტში მითითებული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია კლიენტისათვის პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და მათ მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების განხილვის ვადების დაცვაზე.

9. სხვა პირობები:

9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე;

9.2. ეს ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

9.3. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით; გარდა იმ ცალმხიარვი ცვლილებებისა, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების თავსართში

9.4 მსესხებლის მიერ კრედიტზე ვადაგადასცილების ან/და ნებისმიერი სხვა დავალიანების წარმოშობისთანავე, მისო ვალდებულია მის ხელთ არსებული მსესხებლის საკონტაქტო ინფორმაციის შეშვებით მას, ასევე არსებობის შემთხვევაში თავდებს, შეატყობინოს აღნიშნული გარემოების დადგომასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

9.5 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება (მოთხოვნა) და გატრთხილება (შემდგომში-გზავნილი) ადრესატისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა წერილობითი ფორმით ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ელ-ფოსტაზე გაგზავნით ან/და ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მისამართზე გაგზავნით, ასევე შესაძლებელია ტელეფონის ნომრებზე შესაბამისი მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით. მხარეები თანხმდებიან, რომ მხარისათვის ელ/ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, გამსესხებლის მიერ მისი გაგზავნის მომენტიდან, ხოლო წერილობითი მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, ფოსტის მიერ შესაბამისი სტატუსის მინიჭებისას. ტელეფონის ნომრებზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ნომრებზე მისი გაგზავნის მომენტიდან. წერილობითი ფორმით ფოსტით გაგზავნილი შეტყობინების ჩაუბარებლობის შემთხვევებში მხარეები თანხმდებიან, რომ იმოქმედებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78 მუხლები.

9.5.1. მოგირავნისთვის ელექტრონულ მისამართზე info@creditor.ge ხოლო დამგირავებლისათვის ან/და მისი წარმომადგენლისათვის - ელექტრონულ მისამართზე გაგზავნით.

9.6. მხარეები გზავნილის ჩაბარების ამ მუხლით დადგენილ წესს ირჩევენ საკუთარი შეხედულებისამებრ.

9.7. მსესხებელი/მოგირავმე ვალდებულია მისი ნებისმიერი რეკვიზიტის ცვლილებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აცხადოს კომპანიის წერილობითი ფორმით. წინარმდევ შემთხვევაში კომპანია არ არის პასუხისმგებელი მის ხელთარსებულ რეკვიზიტებზე გაგზავნილი შეტყობინებების სამართლებრივ შედეგებზე. გამსესხებლისთვის ბოლო ცნობილ რეკვიზიტებზე გაგზავნილი შეტყობინებები ჩაითვლება მსესხებლისთვის/დამგირავებლისთვის ჩაბარებულად.

9.8 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში წინამდებარე და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა, მათ შორის დაკავშირებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან, მოშლასთან, შეწყვეტასთან და ბათილობასთან, განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიეცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

9.9 ხელშეკრულების თავსართი (ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) და დანართი წარმოდგენენ წინამდებარე ხელშეკრულების ერთიან და განუყოფელ ნაწილებს.

9.10 კლიენტი გაეცნო წინამდებარე ხელშეკრულებითა და ამავე ხელშეკრულების თავსართით გათვალისწინებულ ფინანსურ ხარჯებს და წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას გაათორმოს კომპანიასთან ეს ხელშეკრულება.

9.11 შპს "კრედიტორი" მის: ქ.თბილისი, მიცკვეფის 6 } შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ

საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო

საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს

კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის

გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში

ჩართული მომხმარებლისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და

ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია

გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან განადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია,

არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ."

9.12 იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს მისო „ კრედიტორი“-ში ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ: შპს მისო „ კრედიტორი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

10. მხარეთა რეკვიზიტები

"გამსესხებელი/მოგირავენი"
შპს მისო "კრედიტორი" ს/კ 404910637
ქ. თბილისის, მიცკევიჩის ქ, № 6
info@creditor.ge
2 373 375

მსესხებელი/დამგირავებელი:
პ/ნ: / პირადობის/ პასპორტის #:
მისამართი:
მობ ტელეფონი
_____ / /

_____ //

-ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები (თავსართი)

ქ. თბილისის, მიცკევიჩის ქ, № 6

XX.XX.XXXX წ.

1. სესხის საპროცენტო განაკვეთი

- სესხის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი: %;
- სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: %
- ფინანსურ ხარჯებთან მიმართებაში არსებული დაშვებები, რომლებიც გათვალისწინებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში: ა) სესხის თანხის გაცემა ხდება სრულად, ერთჯერადად თანხის მსესხებლისთვის გადაცემის/გადარიცხვის მეშვეობით; ბ) პროცენტი დაირიცხება სესხის გაცემის მომდევნო დღიდან სესხის ვადის ამოწურვამდე, ყოველდღიური დარიცხვის საფუძველზე; გ) დაიშვება, რომ წელიწადში არის 365 დღე, ხოლო ნაკიან წელიწადში 366 დღე.

2. თინანსური ხარჯები

- შენატანის ოდენობა (ძირითადი თანხა + პროცენტი) : ლარი.
- სესხის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი (ფინანსური მომსახურების საკომისიო): XXX ლარი
- ადმინისტრაციულ ორგანოში გადასახდელი გირავნობის რეგისტრაციის/რეგისტრაციის მოხსნის საფასური: XXX ლარი

3. სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- სესხის მთლიანი თანხის ოდენობა: ლარი
- მსესხებლის მიერ მთლიანი გადასახდელი თანხის ოდენობა: ლარი
- სესხის ვადა: თვე
- საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: თვე
- სესხის წინასწარ დაფარვის საკომისიო იანგარიშება დარჩენილი ძირითადი თანხიდან და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად. შეადგენს 0% ხელშეკრულების დასრულებამდე 6 თვემდე ვადის შემთხვევაში, 0,5% -ს თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა, 1%-ს თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა და 2% -ს 24 თვეზე მეტი ვადის არსებობის შემთხვევაში.
- ვადაგადაცილების შემთხვევაში პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე: დარჩენილი ძირითადი თანხის 0.25% ყოველდღიურად, ამასთან ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1,5-მაგ ოდენობას. • ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცალმხრივი ცვლილებების შესახებ მსესხებლის ინფორმირება მოხდება არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით ან ელექტრონული ფოსტით.
- ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით)
- მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების პირობები/პრაქტიკული ინსტრუქციები მოცემულია სესხის ხელშეკრულების 1.11 პუნქტში.
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - info@creditor.ge
- გაეცანით ფინანსური პროდუქტის მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 0322406406.

გამსესხებელი

მსესხებელი
